

ავტობიოგრაფია

მე, დიმიტრი გვრიტიშვილი, დავიბადე 1980 წლის 16 ოქტომბერს, მშენებლის (მამა: [REDACTED]) და მედიის (დედა: [REDACTED]) ოჯახში.

ბავშვობის მნიშვნელოვანი პერიოდი გავატარე დუშეთის რაიონის [REDACTED] სადაც ამჟამადაც ვცხოვრობ. ძალიან მიყვარს მშობლიური მთიულეთი, ისევე, როგორც ლამაზი და მდიდარი სრულიად საქართველო.

საშუალო განათლება თბილისის სხვადასხვა სკოლაში მივიღე; საბოლოოდ, 1998 წელს წარჩინებით დავასრულე 36-ე საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დავასრულე 2003 წელს.

2003-2005 წლებში ვახორციელებდი საადვოკატო საქმიანობას; 2005-2008 წლებში ვმუშაობდი თბილისის მერიის იურიდიულ სამსახურში, ჯერ მთავარ სპეციალისტად, შემდეგ კი - სასამართლოებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად.

2008 წლიდან დავსაქმდი ჩემთვის საოცნებო სამსახურში - სასამართლოში და დღემდე ვმუშაობ ამ სისტემაში, კერძოდ:

- 2008 წლის იანვარი - ნოემბრის პერიოდში, ვახორციელებდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეს უფლებამოსილებას;
- 2008 წლის ნოემბრიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ და უფლებამოსილებას ვახორციელებდი 2012 წლის ოქტომბრამდე;
- 2012 წლის ოქტომბერი - 2020 წლის აგვისტოს პერიოდში, სამოსამართლო უფლებამოსილებას ვახორციელებდი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, ვიყავი იმავე პალატის თავმჯდომარე, ხოლო 2017-2020 წლებში ვიყავი იმავე სასამართლოს თავმჯდომარეც;
- 2020 წლის აგვისტოდან დღემდე, ვარ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე და იმავე პალატის თავმჯდომარე;

- 2017-2021 წლებში, ასევე - 2022 წლის ოქტომბრიდან დღემდე, კოლეგების მიერ არჩეული ვიცე (ვარ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად;

- 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ოქტომბრამდე პერიოდში, ვიცე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე; 2023 წლის მაისიდან დღემდე ვარ იმავე საბჭოს წევრი.

მყავს მეუღლე და ოთხი შვილი; მაქსიმალურად ვცდილობ, თავისუფალი დრო სრულად მათთან გავატარო.

ვახორციელებ პედაგოგიურ საქმიანობას: 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტებისათვის წარვუძეხი სალექციო კურსს „ადმინისტრაციული პროცესი“; ასევე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის და მოსამართლეებისათვის 2020-2025 წლებში წარვუძეხი სალექციო კურსებს კონსტიტუციურ სამართალში, საგადასახადო სამართალში და სამოსამართლო ეთიკაში.

ვფიქრობ, რომ, ჩემი კეთილსინდისიერების და კვალიფიკაციის შესაბამისად, მაქვს წარმატებული კარიერა სასამართლო სისტემაში; ვარ უზომოდ ბედნიერი და მოტივირებული, რათა მართლმსაჯულების ნებისმიერ ინსტანციაში ეფექტიანად განვახორციელო ჩემი უფლებამოსილება.

 30/11/23